

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს  
გადაწყვეტილება № 263  
(ოქმი № 256)

თბილისი

2013 წლის 12 სექტემბერი

კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ღია კონკურსის წესით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 03.08.2009წ. №143 (ოქმი №122) გადაწყვეტილება.
2. დამტკიცდეს "კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ" ინსტრუქცია თანდართული სახით.

დანართი: ინსტრუქცია (3 ფურცლად)

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ემზარ ვოგუაძე



სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:


მამუკა ფაჩუაშვილი



ავთანდილ ანთიძე



დავით კანდელაკი



ნინო დანელია

ზურაბ დავითაშვილი



ეკა მაზმიშვილი



გიორგი მელაძე



ნატალია დვალი



დამტკიცებულია

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“

სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 12 სექტემბრის

№263 (ოქმი №256) გადაწყვეტილებით

## ინსტრუქცია

კონკურსის შესაბამისად სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით  
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ  
კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ

### 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (შემდგომში – “მაუწყებელი”) გენერალურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ღია კონკურსის (შემდგომში – “კონკურსი“) წესით 6 წლის ვადით “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 1.2 მაუწყებლის გენერალური დირექტორის დანიშვნის შესახებ მაუწყებლის სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. მეურვეს შეუძლია სამეურვეო საბჭოს სხდომას დაესწროს და წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრულ პროცედურებში მონაწილეობა მიიღოს ინტერნეტის, კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის “SKYPE“-ის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, კენჭისყრისას ხმის მიცემა განხორციელდება შესაბამისი წარმომადგენლის მეშვეობით.
- 1.3 გადაწყვეტილების მიღებისას თითოეულ მეურვეს აქვს 1 (ერთი) ხმა.
- 1.4 კონკურსი ტარდება 2 (ორ) ტურად (ეტაპად).

### 2. კონკურსის კენჭისყრის პროცედურები

#### 2.1. კონკურსის I (პირველი) ტური

- 2.1.1 კონკურსის I (პირველ) ტურში ტარდება ფარული კენჭისყრა, რის შედეგადაც გამოვლინდება II (მეორე) ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა.

- 2.1.2 ფარული კენჭისყრისას კონკურსის I (პირველ) ტურში ხმების მიცემა ხორციელდება ბიულეტენების საშუალებით, რომლებიც დამოწმებული უნდა იქნეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ბეჭდით.
- 2.1.3 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე თითოეულ წევრს (მეურვეს) ურიგდება თითო ბიულეტენი.
- 2.1.4 ბიულეტენებში მიეთითება ყველა იმ კანდიდატის სახელი და გვარი, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 2.1.5 სამეურვეო საბჭოს წევრს შეუძლია შეუზღუდავად შემოხაზოს ბიულეტენში აღნიშნული მისთვის სასურველი კანდიდატი, რის შემდეგაც იხსნება ბიულეტენები და ხორციელდება ხმების დათვლა.
- 2.1.6 კონკურსის II (მეორე) ტურში გასულად ჩაითვლება ყველა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობას.

## 2.2 კონკურსის II (მეორე) ტური

- 2.2.1 კონკურსის II (მეორე) ტური მოიცავს გასაუბრების და კენჭისყრის პროცედურებს.
- 2.2.2 გასაუბრება არ წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს სხდომას.
- 2.2.3 გასაუბრების შემდეგ, სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში ტარდება სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად ტარდება ფარული კენჭისყრა.
- 2.2.4 კონკურსის II (მეორე) ტურში გენერალური დირექტორის კანდიდატი გამოვლინდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე მეურვეთა ხმათა უმრავლესობით.
- 2.2.5 კონკურსის II (მეორე) ტურშიც ფარული კენჭისყრა მიმდინარეობს 2.1.2 პუნქტის შესაბამისად დამოწმებული ბიულეტენების საშუალებით, სადაც მითითებული იქნება II (მეორე) ტურში გასული კანდიდატების სახელი და გვარი.
- 2.2.6 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე თითოეულ წევრს (მეურვეს) ურიგდება თითო ბიულეტენი. სამეურვეო საბჭოს წევრს შეუძლია შემოხაზოს ბიულეტენში

აღნიშნული მხოლოდ ერთი კანდიდატი, რის შემდეგაც იხსნება ბიულეტენები და ხორციელდება ხმების დათვლა.

- 2.2.7 თუ პირველმა ფარულმა კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ ტარდება განმეორებითი ფარული კენჭისყრა.
- 2.2.8 განმეორებითი ფარული კენჭისყრის უზრუნველსაყოფად სამეურვეო საბჭოს იმავე სხდომაზე იბეჭდება ახალი ბიულეტენები, რომლებიც უნდა დამოწმდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ბეჭდით და სადაც მითითებული იქნება ყველა იმ კანდიდატის სახელი და გვარი, რომელმაც წინა კენჭისყრის შედეგად აჩვენა 2 (ორი) ან მეტი საუკეთესო თანაბრად მაღალი შედეგი და არ მონაწილეობს სხვა დანარჩენი კანდიდატი.
- 2.2.9 თუ გამარჯვებული მეორე ფარული კენჭისყრის შედეგადაც ვერ გამოვლინდა, ასეთ შემთხვევაში ტარდება ღია კენჭისყრა.
- 2.2.10 ღია კენჭისყრისას სამეურვეო საბჭოს წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.